19/01/2019

ილია მეორემ დიდ დიღომში აფეთქებისას დაღუპულები მოიხსენია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დიდ დიღომში აფეთქებისას დაღუპულთა სულები მოიხსენია. ამის შესახებ პირველი არხის ჟურნალისტი იუწყება.

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვა საკათედრო ტაძარში მიმდინარეობს.

აფეთქების შედეგად დაღუპულთა სულები ილია მეორემ ბარძიმის გამობრძანების დროს მოიხსენია.

დიდ დიღომში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში აფეთქება 16 იანვარს მოხდა. დაიღუპა ოთხი და დაშავდა რვა ადამიანი.

(ავტორი – ნათია ქენქაძე / 1tv.ge)